თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5504303

ნომერი: AR1836905

თარიღი : 09.07.2021

გაცემის თარიღი : 16.07.2021

გაცნობის თარიღი : 16.07.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ჯუმბერ ლეჟავას ქუჩა, N 47;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნათია ახალკაცი პ/ნ 01001069604
- იპოლიტე ივანოვის 9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 08 ივლისის №5492279 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 09 ივლისს №AR1836905 განცხადებით მომართა ნათია ახალკაცმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 08

ივლისის №5492279 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საპროექტო ობიექტის მისამართთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 08 ივლისის №5492279 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დასახლება ვაზისუბანი, III მიკრო/რაიონი, II კვარტალი №15ა, ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის III მ/რ, II კვარტალი, კორპუსი №15-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.07.009.021), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 08 ივლისიდან 2024 წლის 08 ივლისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2021 წლის 08 ივლისის №5492279 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, მისამართის ნაწილში დაფიქსირებულია „სექტორი - გლდანი“. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №882020227047, მომზადების თარიღი: 15/04/2020) თანახმად, №01.17.07.009.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მისამართია: ქ. თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, III მიკრო/რაიონი, II კვარტალი №15ა, ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის III მ/რ, II კვარტალი, კორპუსი №15-ის მიმდებარედ. თუმცა, ტექნიკური შეცდომის გამო ბრძანებაში „სექტორი - გლდანი“ არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 08 ივლისის №5492279 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. შეთანხმდეს ქ. თბილისში, დასახლება ვაზისუბანი, III მ/რ, II კვარტალი №15ა, ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის III მ/რ, II კვარტალი, კორპუსი №15-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.07.009.021), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 08 ივლისის №5492279 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 08 ივლისის №5492279 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.